XIV დანართის დამატება 4

მუხლში 6.4 მოხსენიებული

ნორვეგიის დათქმები

ნორვეგია

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი კომპანიების შესახებ, 13 ივნისი 1997 წელი, No. 44 (*aksjeloven*) და კანონი საჯარო სააქციო საზოგადოებების შესახებ, 13 ივნისი 1997 წელი, No. 45 (*allmennaksjeselskapsloven*).
ღონისძიების მოკლე აღწერა:	სააქციო საზოგადოების გენერალური მენეჯერი და დირექტორთა საბჭოსა და კორპორატიული ასამბლეის წევრების ნახევარი მაინც უნდა ცხოვრობდნენ ნორვეგიაში მუდმივად. მუდმივი ცხოვრების კრიტერიუმები არ ვრცელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებზე, რომლებიც არიან ერთ–ერთი ამ სახელმწიფოს მუდმივი მაცხოვრებლები.[1] ვაჭრობის, მრეწველობისა და თევზჭერის სამინისტრომ შეიძლება დაუშვას გამონაკლისები ამ დებულებიდან.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	მუდმივი ცხოვრების კრიტერიუმი იურისდიქციის საკითხს უკავშირდება, კერძოდ, მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ კომპანიის საქმეებზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ ხელმისაწვდომი.

ნორვეგია

სექტორი:	ენერგეტიკის სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	არ არის ინფორმაცია

[1] საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმში გამონაკლისის დაშვება EEA წევრი სახელმწიფოების მუდმივი მაცხოვრებლებისათვის არ წარმოადგენს დათქმას ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებით, არამედ ეს წინადადება ჩართულია იმისთვის, რომ წარმოადგინოს ღონისძიების ამომწურავი აღწერა.

ღონისძიების მოკლე აღწერა:	ნორვეგია იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან მიიღოს ნებისმიერი ზომა ენერგეტიკის სექტორთან მიმართებაში.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	ენერგეტიკის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

ნორვეგია

სექტორი:	სატრანსპორტო მოწყობილობების შეკეთების სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	არ არსებობს ინფორმაცია
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ნორვეგია იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან მიიღოს ნებისმიერი ზომა 6 თავში „დაფუძნების შესახებ“ მითითებულ სატრანსპორტო მოწყობილობების შეკეთების სექტორთან დაკავშირებით, რადგან ამ სექტორში ნებისმიერი საქმიანობა განიხილება, როგორც მომსახურება წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	უზრუნველყოფილ იქნას ისეთი პოლიტიკა, სადაც ნებისმიერი ვალდებულება ამ სფეროში იქნება შეტანილი წინამდებარე შეთანხმების თავში [მომსახურებით ვაჭრობა].

ნორვეგია

სექტორი:	თევზჭერა და თევზის გადამუშავება
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	კანონი საზღვაო რესურსების შესახებ, 6 ივნისი 2008 წელი, № 37 კანონი მეთევზეობაში მონაწილეობის რეგულირების შესახებ, 26 მარტი 1999 წელი, № 15. კანონი ეკონომიკური ზონის შესახებ, 17 დეკემბერი 1976 წელი, № 91. კანონი თევზჭერის შეზღუდვის შესახებ, 17 ივნისი 1966 წელი, № 19.

ღონისძიების მოკლე აღწერა:	თევზსაჭერი გემის ან ასეთი გემების მფლობელი კომპანიის წილის შესაძენად კონცესია შეიძლება მიეცეს მხოლოდ ნორვეგიის მოქალაქეს ან ორგანოს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნორვეგიის მოქალაქე. კომპანია განიხილება ნორვეგიის მოქალაქის თანასწორი უფლებების მქონედ მაშინ, როდესაც მისი მთავარი ოფისი მდებარეობს ნორვეგიაში და დირექტორთა საბჭოს უმრავლესობა, მათ შორის საბჭოს თავმჯდომარე, არის ნორვეგიის მოქალაქე და იმყოფება ქვეყანაში ბოლო ორი წლის განმავლობაში. ნორვეგიის მოქალაქეები ასევე უნდა ფლობდნენ მინიმუმ 60%-იან წილს და უნდა იყვნენ უფლებამოსილნი ხმების მინიმუმ 60%-ით. თევზსაჭერი ფლოტის ფლობა მხოლოდ პროფესიონალი მეთევზეებისათვის უნდა იყოს ნებადართული. თევზსაჭერი გემის ფლობის უფლების მისაღებად, პირს უნდა ჰქონდეს აქტიური და პროფესიონალური თევზჭერის გამოცდილება ნორვეგიულ თევზსაჭერ ნავზე, მინიმუმ სამი წლის განმავლობაში ბოლო ხუთი წლის მანძილზე. დაუშვებელია სხვა პირების მიერ, გარდა ზემოთ განსაზღვრული ნორვეგიის მოქალაქეებისა და კომპანიებისა, ნორვეგიის ეკონომიკური ზონის სათევზაო საზღვრებში თევზის, კიბოსებრთა და მოლუსკების ან მათი ნაწილების და პროდუქციის გადამუშავება, შეფუთვა ან გადატვირთვა. ეს ეხება როგორც ნორვეგიული ასევე უცხოური გემების მიერ დაჭერილ თევზს. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	რესურსების კონსერვაცია და მართვა.

ნორვეგია

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე	არ არის ინფორმაცია

უფლებამოსილი პირი:	
ღონისძიების მოკლე აღწერა:	კოლექტიური საავტორო და მომიჯნავე უფლებების მართვის სისტემები; როიალტი, მოსაკრებლები, გრანტები და სახსრები.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	ნორვეგიაში ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება და ხელშეწყობა

ნორვეგია

სექტორი:	ყველა სექტორი
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	ინფორმაცია არ არსებობს
ღონისძიების მოკლე აღწერა:	ნორვეგია იტოვებს უფლებას მიიღოს შეთანხმების 6.3 მუხლთან შეუსაბამო ზომები პირდაპირი გადასახადების დაკისრების, აღსრულების ან ამოღების მიზნით, თუ ეს ზომები არ ეწინააღმდეგება საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ძალაშია ნორვეგიასა და საქართველოს შორის.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.